

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	4
1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	4
2. მომზადების საფუძველი	4
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	9
6. მომსახურების გაწევის თვითღირებულება	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9
8. ფინანსური შემოსავალი	10
9. ფინანსური ხარჯები.....	10
10. ძირითადი საშუალებები	11
11. საინვესტიციო ქონება.....	12
12. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	122
14. გაცემული სესხები	13
15. მიღებული სესხები	13
16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	3,350,938	2,688,991
საიჯარო მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(619,301)	(667,868)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(214,725)	(222,129)
საოპერაციო მოგება		2,516,912	1,798,994
ფინანსური შემოსავალი	8	519,817	125,376
ფინანსური ხარჯი	9	(1,979,872)	(1,506,837)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, ნეტო		(1,043,459)	(454,285)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,389	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(64,395)	(30,690)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(49,608)	(67,442)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(49,608)	(67,442)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:



ლევან კვინკაძე
დირექტორი

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	5	3,350,938	2,688,991
საიჯარო მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(619,301)	(667,868)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(214,725)	(222,129)
საოპერაციო მოგება		2,516,912	1,798,994
ფინანსური შემოსავალი	8	519,817	125,376
ფინანსური ხარჯი	9	(1,979,872)	(1,506,837)
ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, ნეტო		(1,043,459)	(454,285)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,389	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(64,395)	(30,690)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(49,608)	(67,442)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(49,608)	(67,442)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს:

ლევან კვინიკაძე
დირექტორი

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	261,592	302,727	393,753
საინვესტიციო ქონება	11	10,079,780	10,615,537	11,149,847
გუდვილი		1,183,913	1,183,913	1,183,913
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,525,285	12,102,177	12,727,513
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	12	44,109	945	536,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,203,135	1,443,817	249,931
გაცემული სესხები	14	10,860,093	1,882,675	92,672
საგადასახადო აქტივი		-	1,880	-
სულ მიმდინარე აქტივები		13,107,337	3,329,317	878,794
სულ აქტივები		24,632,622	15,431,494	13,606,307
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		43,160	43,160	2,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(1,303,601)	(1,253,993)	(1,186,551)
სულ კაპიტალი		(1,260,441)	(1,210,833)	(1,184,551)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15	24,778,470	15,871,517	12,513,130
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		24,778,470	15,871,517	12,513,130
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16	775,354	22,250	73,694
მოკლევადიანი სესხები	15	259,320	697,386	2,191,552
საგადასახადო ვალდებულება		79,919	51,174	12,482
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,114,593	770,810	2,277,728
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		24,632,622	15,431,494	13,606,307

4-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2018	2,000	(1,186,551)	(1,184,551)
კაპიტალში შენატანი	41,160	-	41,160
პერიოდის ზარალი	-	(67,442)	(67,442)
31 დეკემბერი, 2018	43,160	(1,253,993)	(1,210,833)
კაპიტალში შენატანი	-	-	-
პერიოდის ზარალი	-	(49,608)	(49,608)
31 დეკემბერი, 2019	43,160	(1,303,601)	(1,260,441)

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

ადია ბიზნეს ჯგუფი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2017 წლის 14 ნოემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405238853. შპს „ადია ბიზნეს ჯგუფის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შვილობილი კომპანიების მართვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნინო ზაქაიძე.

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი%
შპს „ბელინსკის 10ა“	საიჯარო მომსახურების გაწევა	100%
შპს „აბანოთუბანი“	საიჯარო მომსახურების გაწევა	100%

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფში“ თავის შვილობილებთან ერთად (შემდგომში ჯგუფი), საანგარიშგებო წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 1 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. ჯგუფმა გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე ჯგუფს არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 1 იანვრის მდგომარეობით; 2019 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (პირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის

კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება

წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში

მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	5-10
ტრანსპორტი	5
სხვა	4-5-10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სასაქონლო ნიშანსა და ISO სერტიფიკატს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები . ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის/გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც მისი ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფი დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს აგენერირებს საიჯარო მომსახურებიდან, რომელმაც 2018 წელს შეადგინა 2,688,991 ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის 3,350,938 ლარი.

6. მომსახურების გაწევის თვითღირებულება

ჯგუფის საიჯარო მომსახურების თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო საქმიანობაში ჩართული ძირითადი საშუალებების ცვეთას და მათ რემონტს, რომელიც საერთო ჯამში საანგარიშგებო წლის ბოლოს შეადგენს 619,301 ლარს.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

აღწერა	2019	2018
სხვა საგადასახადო ხარჯი	(113,362)	(110,885)
შრომის ანაზღაურება	(50,293)	(56,250)
დაზღვევა	(18,112)	(16,187)
სხვა საერთო ხარჯი	(7,304)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(6,813)	(18,198)
საბანკო ხარჯები	(6,342)	(11,978)
ცვეთა და ამორტიზაცია	(7,632)	(4,055)
მომსახურების ხარჯები	(4,576)	(4,576)
ავტომობილის ხარჯები	(191)	-
კომპიუტერის ხარჯები	(100)	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(214,725)	(222,129)

8. ფინანსური შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი სრულად უკავშირდება იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს.

9. ფინანსური ხარჯი

აღწერა	2019	2018
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(1,754,281)	(1,462,129)
საპროცენტო ხარჯი იურიდიული პირებისგან მიღებულ სესხებზე	(6,597)	(4,286)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხზე	(16,282)	(40,422)
სესხის სტრუქტურის საკომისიო	(202,712)	-
სულ ფინანსური ხარჯი	(1,979,872)	(1,506,837)

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა -დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სხვა	ჯამი
1 იანვარი, 2018	103,861	297,699	-	39,859	441,419
შესყიდვები	1,453	5,481	-	-	6,934
გაყიდვები	-	(32,024)	-	-	(32,024)
31 დეკემბერი, 2018	105,314	271,156	-	39,859	416,329
შესყიდვები	-	803	31,712	-	32,515
გაყიდვები	-	(2,575)	-	-	(2,575)
31 დეკემბერი, 2019	105,314	269,384	31,712	39,859	446,269
ცვეთა					
1 იანვარი, 2018	(9,487)	(35,378)	-	(2,801)	(47,666)
დარიცხული ცვეთა	(10,856)	(50,736)	-	(4,344)	(65,936)
31 დეკემბერი, 2018	(20,343)	(86,114)	-	(7,145)	(113,602)
დარიცხული ცვეთა	(10,856)	(53,044)	(2,833)	(4,342)	(71,075)
31 დეკემბერი, 2019	(31,199)	(139,158)	(2,833)	(11,487)	(184,677)
ნარჩენი ღირებულება					
1 იანვარი, 2018	94,374	262,321	-	37,058	393,753
31 დეკემბერი, 2018	84,971	185,042	-	32,714	302,727
31 დეკემბერი, 2019	74,115	130,226	28,879	28,372	261,592

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. საინვესტიციო ქონება

თვითღირებულება	მიწა	შენობა	ჯამი
1 იანვარი, 2018	961,655	10,546,343	11,507,998
შესყიდვები	-	1,356	1,356
გაყიდვები	-	-	-
31 დეკემბერი, 2018	961,655	10,547,699	11,509,354
შესყიდვები	-	-	-
გაყიდვები	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	961,655	10,547,699	11,509,354
			-
ცვეთა			-
1 იანვარი, 2018	-	(358,151)	(358,151)
ცვეთა	-	(535,666)	(535,666)
31 დეკემბერი, 2018	-	(893,817)	(893,817)
ცვეთა	-	(535,757)	(535,757)
31 დეკემბერი, 2019	-	(1,429,574)	(1,429,574)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი, 2018	961,655	10,188,192	11,149,847
31 დეკემბერი, 2019	961,655	9,653,882	10,615,537
31 დეკემბერი, 2019	961,655	9,118,125	10,079,780

12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	24,056	14	16,810
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	19,945	9	448
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	108	922	493
ბლოკირებული თანხები	-	-	518,440
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	44,109	945	536,191

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,523,342	764,579	249,931
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	556	-	-
გადახდილი ავანსები	679,237	679,238	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,203,135	1,443,817	249,931

შპს „ადია ბიზნეს ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. გაცემული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გაცემული სესხი ლარში	12%-14%	მოკლევადიანი სესხი	1,009,806	308,384	92,672
გაცემული სესხი დოლარში	9.5%-11%- 12%	მოკლევადიანი სესხი	9,850,287	1,574,291	-
სულ გაცემული სესხები			10,860,093	1,882,675	92,672

15. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
იურიდიული პირებისგან აღებული სესხები	12%	მოკლევადიანი სესხი	102,455	115,045	-
იურიდიული პირებისგან აღებული სესხები	11%	მოკლევადიანი სესხი	-	-	-
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	4%-8.5%- 11%	მოკლევადიანი სესხი	-	436,705	1,484,750
ფიზიკური პირებისგან აღებული სესხები	12%	მოკლევადიანი სესხი	156,865	145,636	706,802
სულ მიღებული სესხები			259,320	697,386	2,191,552

გრძელვადიანი სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	4%	გრძელვადი ანი სესხი	ევრო	19,989,411	-	-
საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები	8.5%-11%	გრძელვადი ანი სესხი	დოლარი	4,789,059	15,871,517	12,513,130
სულ მიღებული სესხები				24,778,470	15,871,517	12,513,130

16. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიღებული ავანსები	769,575	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	5,749	18,500	2,746
გადასახდელი ხელფასები	-	3,750	5,625
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	30	-	65,323
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	775,354	22,250	73,694